სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

თორნიკე შერმადინი

„28" ---------- 2013 წელი

ეგზ 2

ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისათვის განხორციელებული საქმიანობის, სახსრების მოპოვებისა და ხარჯვის მიზნობრიობისა და კანონიერების დასადგენად ჩატარებულ შეთანხმებულ პროცედურებზე აუდიტის ანგარიში № 23/00

შინაარსი

ანგარიში აღმოჩენილ ფაქტობრივ გარემოებებზე 3

1. სამშენებლო ნებართვები 4

2. მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი სახსრები 5

3. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გამოყოფილი სახსრები 5

4. აღებული სესხები 6

4.1 სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ მიღებული სესხი 6

4.2 საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული სესხი 6

5. ქონების გაყიდვით და იჯარიდან მოზიდული სახსრები 6

5.1 აუდიტორის მიერ შეფასებულზე ნაკლებ ფასად რეალიზებული ქონება 7

5.2 აუდიტორის მიერ შეფასებული ქონების დაუდგენელი რეალური ღირებულება 9

5.3 აუდიტორის შეფასებისას დაშვებული შეცდომით გასხვისებული ქონება 11

5.4 გასხვისებული ქონებიდან მიღებული თანხები 11

5.5 იჯარიდან მიღებული შემოსავლები 12

5.6 სხვა შემოსავლები 12

6. დამატებული ღირებულების გადასახადი 13

7. საპროექტო სამუშაოები 14

8. დემონტაჟის სამუშაოები 15

9. პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოები 16

9.1 გაფორმებული ხელშეკრულებები 16

9.2 შესრულებული სამუშაოები 17

9.3 მშენებლობაზე ზედამხედველობა 18

9.4 სხვა სამშენებლო ხარჯები 19

9.5 სამშენებლო სამუშაოებზე ანაზღაურებული თანხები 20

10. პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები 21

10.1 გაფორმებული ხელშეკრულებები 21

10.2 შესრულებული სამუშაოები 21

10.3 მშენებლობაზე ზედამხედველობა 22

10.4 სამშენებლო სამუშაოებზე ანაზღაურებული თანხები 23

ანგარიში აღმოჩენილ ფაქტობრივ გარემოებებზე

ანგარიშის დანიშნულება

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 12 ნოემბრის №75 დადგენილების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისათვის სახსრების მოპოვებისა და ხარჯვის მიზნობრიობისა და კანონიერების დასადგენად, 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისათვის წინასწარ შეთანხმებული პროცედურები.

შეთანხმებული პროცედურები წარიმართა „დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის" (ISRS 4400) შესაბამისად. პროცედურები შესრულებულია იმ მიზნით, რომ დახმარება იქნეს გაწეული ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისათვის სახსრების მოპოვებისა და ხარჯვის მიზნობრიობისა და კანონიერების გარკვევაში. ამდენად, გაწეული საქმიანობა შეჯამებულია შემდეგნაირად:

1. შემოწდა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობის ნებართვის შესაბამისობა ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებასა და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსთან";
2. შემოწმდა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, ქ. ქუთაისის მერიისთვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა;
3. შემოწმდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" კაპიტალის გაზრდის მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის შესაბამისობა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" შესახებ საქართველოს კანონთან.
4. შემოწმდა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობის დაფინანსების მიზნით, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების პირობების შესრულების მდგომარეობა;
5. შემოწმდა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ, ქონების რეალიზაციით, იჯარით და სხვა შემოსავლებიდან მოზიდული სახსრების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
6. შემოწმდა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ, სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების შესაბამისობა საქართველოს საგადასახადო კოდექსთან;
7. შემოწმდა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის საპროექტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
8. შემოწმდა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლისათვის განკუთვნილ სამშენებლო მოედანზე დემონტაჟის სამუშაოებზე გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
9. შემოწმდა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა;
10. შემოწმდა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების მიზნობრიობა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

დასკვნა აღმოჩენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ:

1. სამშენებლო ნებართვები

1-ლ პუნქტთან დაკავშირებით, ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობა განხორციელებულია ნებართვის გარეშე. აქედან გამომდინარე, ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისას არ იქნა დაცული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებისა და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" მოთხოვნები.

საქართველოს კონსტიტუციაში 2009 წლის 24 სექტემბერს შესული დამატებით, საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელად თბილისთან ერთად ქალაქი ქუთაისიც განისაზღვრა, ხოლო ცვლილების ამოქმედების ვადად - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მომდევნო საერთო საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღე.

2009 წლის 9 დეკემბრის მთავრობის განკარგულებით[1], ქ. ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების ჩატარების მიზნით, თავდაპირველად მოხდა 5.0 მილიონი ლარის გამოყოფა.

2010 წლის 17 მარტს, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ხელშეკრულება დაიდო ქ. ქუთაისის მერიასა (დამკვეთი) და შპს „მენო ინტერნეიშნლს" (შემსრულებელი) შორის, რაც ითვალისწინებდა ქ. ქუთაისში ახალი პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. 2011 წლის 28 თებერვლამდე მშენებლობა ფინანსდებოდა ქ. ქუთაისის მერიის მიერ, ხოლო შემდგომ - მშენებლობის დაფინანსებას უზრუნველყოფდა შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო" (შემდგომ - ბიურო), რომელიც 2011 წლის 1 ნოემბერს ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებით, უკვე დამკვეთ მხარეს წარმოადგენს.

2009 წლის 24 მარტის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის №57 დადგენილების[2] შესაბამისად, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ამ დადგენილების შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა.

ამავე დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტი მიეკუთვნება V კლასის შენობას და წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობას. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის[3] შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვას გასცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო". ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობა დაწყებულია და წარმოებდა შესაბამისი ნებართვის გარეშე, რითაც არ შესრულდა დადგენილებით განსაზღვრული შემდეგი სტადიები:

I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება);

II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება);

III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა;

ასევე არ ჩატარებულა V კლასის შენობა-ნაგებობებისათვის განსაზღვრული სავალდებულო საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სამშენებლო დოკუმენტის ნაწილების საექსპერტო შეფასების შემდეგი პროცედურები:

ა) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება;

ბ) ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება;

გ) დოკუმენტების პროექტების ტექნოლოგიური ნაწილების საექსპერტო შეფასება;

---

[1] მთავრობის განკარგულება №915

[2] 33-ე მუხლი.

[3] მე-6 მუხლი.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ 2012 წლის 5 ნოემბერს, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროზე“ გაცემულ იქნა მითითება, რომლის შესაბამისად, ბიუროს განესაზღვრა 45- დღიანი ვადა, რათა ქ. ქუთაისში პარლამენტის სასახლის მშენებლობა შესაბამისობაში მოეყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც ვერ მოხერხდა და 2013 წლის 10 იანვარს დაჯარიმდა 3,000 ლარით. ბიუროს 2013 წლის 10 აპრილამდე (სამთვიანი ვადა) დაევალა ხარვეზის გამოსწორება, რაც კვლავ ვერ შეასრულა და 2013 წლის 30 აპრილს დაჯარიმდა 9,000 ლარით.

2. მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი სახსრები

მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობის განხორციელების მიზნით, ქ. ქუთაისის მერიისთვის გამოყოფილი სახსრები გახარჯულია მთავრობის განკარგულებების შესაბამისად.

ქ. ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობის განხორციელების მიზნით, მთავრობის განკარგულებებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, თვითმმართველ ქ. ქუთაისის მერიას მიზნობრივი ტრანსფერით გამოეყო 73,775,255 ლარი, მათ შორის:

- 2009 წლის 9 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №915 განკარგულებით, ქ. ქუთაისში პარლამენტის შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების განხორციელებისა და პარლამენტის შენობის მშენებლობისათვის წინასწარი სამუშაოების შესრულების მიზნით გამოეყო 5,000,000 ლარი.
- 2010 წლის 30 მარტის საქართველოს მთავრობის №418 განკარგულებით და მასში შესული ცვლილებებით, პარლამენტის შენობის დაპროექტების, მშენებლობის, ექსპერტიზის, პარლამენტის მშენებლობის ინფობოქსის სკვერის კეთილმოწყობისა და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დასაფინანსებლად გამოეყო 42,000,000 ლარი.
- 2010 წლის 10 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №1047 განკარგულებით, პარლამენტის შენობის დაპროექტების, მშენებლობის, ექსპერტიზისა და სხვა გადაუდებელი ხარჯების დასაფინანსებლად გამოეყო 10,050,000 ევროს ეკვივალენტი 26,775,255 ლარი.

ქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობის სამუშაოების დასაფინანსებლად, მთავრობის განკარგულებებიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 73,757,930 ლარი, რაც შემდეგ სამუშაოებს მოიცავდა:

შესრულებული სამუშაო	თანხა
მშენებლობა	66,845,813
პროექტირება	6,442,089
დემონტაჟი	470,028
სულ :	**73,757,930**

მთავრობის განკარგულებებით მიღებულ და დახარჯულ თანხებს შორის 17,325 ლარის ოდენობის სხვაობა, ირიცხება ქუთაისის მერიის ბალანსზე.

3. საქარველოს პრეზიდენტის განკარგულებით გამოყოფილი სახსრები

მე-3 პუნქტთან დაკავშირებით, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალის გაზრდის მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდების ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავენ, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით[4], შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალის გაზრდის მიზნით, სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 209,720 ლარი.

[4] 2011 წლის 18 ნოემბრის №18/11/01 განკარგულება.

4. *აღებული სესხები*

მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებებში არსებული ყველა პირობა შესრულებულია.

4.1 *სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან" მიღებული სესხი*

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" (შემდგომში - კორპორაცია) და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" შორის 2012 წლის 5 სექტემბერსა და 2012 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებებით, ბიურომ კორპორაციისაგან მიიღო 15,000,000 აშშ დოლარის და 13,500,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი წლიური 11%-იანი განაკვეთით (სულ ჯამში 28,500,000 აშშ დოლარი). სასეხო ხელშეკრულებით, თანხის სრულად დაფარვა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ერთი წლის განმავლობაში.

კორპორაციამ აღნიშნული სესხი გასცა 2012 წლის 16 მაისს ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული, 250,000,000 აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციებით მოზიდული სახსრებიდან.

ხელშეკრულებით[5] განსაზღვრულია კორპორაციის მიერ ევროობლიგაციებიდან მიღებული თანხის მიზნობრიობა. ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული თანხა (დაახლოებით, 245,939,050 აშშ დოლარი) მთლიანად ან მისი უდიდესი ნაწილი უნდა გამოიყენოს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პირველი ეტაპისათვის.

4.2 *საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული სესხი*

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" შორის 2011 წლის 24 თებერვალს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით (30,000,000 ლარი), ბიურომ მიიღო 17,697,109 ლარის ოდენობის სესხი წლიური 2%-იანი განაკვეთით. სესხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 30 სექტემბერი.

30 სექტემბერს სასესხო ხელშეკრულებაში შესული ცვლილებით, სესხის დაბრუნების ბოლო ვადად განისაზღვრა 2011 წლის 10 დეკემბერი.

ბიურომ სესხად მიღებული 17,697,109 ლარი და მასზე პროცენტად დარიცხული 248,564 ლარი, 2011 წლის 9 დეკემბერს აუნაზღაურა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

5. *ქონების გაყიდვით და იჯარიდან მოზიდული სახსრები*

მე-5 პუნქტთან დაკავშირებით, გარდა ქვემოთ გამოვლენილი კანონშეუსაბამობების სახით მოხსენიებული საკითხებისა, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ, ქონების რეალიზაციით, იჯარითა და სხვა საქმიანობიდან სახსრების მოზიდვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო", საკუთარ კაპიტალში არსებული ქონების რეალიზაციას ახორციელებდა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებებით[6] დამტკიცებული წესის საფუძველზე. ბიუროს კაპიტალში სახელმწიფო ქონების შეტანა ხორციელდება სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" ბრძანებით, რომელთა რეალიზაციაც ბიუროს შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

ბიუროს საქმიანობის ანალიზიდან ჩანს, რომ საკუთარ კაპიტალში განხორციელებული შენატანები ფაქტობრივად ემსახურებოდა არა საწარმოს ფუნქციონირების ძირითად ღონისძიებებს (განვითარება და მოგების ზრდა), არამედ ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი ხმარდებოდა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებას.

2012 წლის 31 დეკემბრამდე, სულ რეალიზებულია ბიუროს კაპიტალში რიცხული 100,289,082 ლარის ღირებულების ქონება, საიდანაც შემოსავლების სახით მიღებულია 197,073,534 ლარი.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ქონების საწარმოს კაპიტალში შეტანის შედეგად, ქონების განკარგვა აღარ რეგულირდება „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონით, ხოლო მისი რეალიზაციის შედეგად

---

[5] http://www.rns-pdf.londonstockexchange.com/rns/1669D_-2012-5-11.pdf

[6] 2010 წლის 29 ოქტომბრის №1-1/1732 და 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებები.

მიღებული შემოსავლები აღარ ექვემდებარება შესაბამისი დონის ბიუჯეტის შემოსულობებში ასახვას და მათი გაყიდვიდან მიღებული თანხა ირიცხება საწარმოს ანგარიშზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები:

შემოსავლის დასახელება	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	სულ
ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	5,059,210	158,314,765	33,509,310	196,883,285
დაგვიანებით გადახდაზე დაკისრებული ჯარიმები	500	-	12,199	12,699
დარჩენილი „ბე“-ს თანხა	-	155,050	22,500	177,550
სულ	**5,059,710**	**158,469,815**	**33,544,009**	**197,073,534**

5.1 აუდიტორის მიერ შეფასებულზე ნაკლებ ფასად რეალიზებული ქონება

ვალდებულებების შესრულების პირობით რეალიზებული ქონება

ზოგიერთ შემთხვევებში, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ ქონების რეალიზაცია ხდებოდა მყიდველების მხრიდან მნიშვნელოვანი ვალდებულებების შესრულების პირობებით, რის გამოც ქონება რეალიზებულია შეფასებულ საბაზრო ღირებულებებზე დაბალ ფასად:

- ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე №98-ში მდებარე 2,751 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ბიუროს კაპიტალში შეტანილ იქნა 115,542 ლარის ღირებულებით, გასაყიდი ფასი კი განისაზღვრა 60,000 ლარის ოდენობით;
- ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 10 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 790,000 ლარს, გასაყიდი ფასი კი - 336,469 ლარს;
- ქ. თბილისში, დოლიძისა და ბალანჩივაძის ქუჩებს შორის მდებარე 1,088 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება შეადგენდა 868,000 ლარს, გასაყიდი ფასი კი - 236,000 ლარს;
- ქ. თბილისში, აკურას ქ. №8-ში მდებარე 7,604 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება შეადგენდა 4,657,500 ლარს, გასაყიდი ფასი კი - 2,929,527 ლარს;

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულებების[7] საფუძველზე, მითითებული პირობების შესრულებაზე მონიტორინგი ევალება ეკონომიკის სამინისტროს, თუმცა მოთხოვნის მიუხედავად, პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

სს „აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ აქციათა 100%-ის გასხვისება

აუდიტორული დასკვნის თანახმად, სს „აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ აქციათა 100%-იანი პაკეტი შედგებოდა 29,378,010 ცალი სახელობითი ჩვეულებრივი აქციისაგან, რომლის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 1 ლარს. სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ ბრძანების[8] საფუძველზე, აქციების 100% შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალში შეტანილ იქნა ნომინალური - 29,378,010 ლარის ღირებულებით.

2011 წელს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განახორციელა სს „აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ 852,194 ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ტექნიკური აღჭურვა, რაც არ იყო ასახული კაპიტალის თავდაპირველი განსაზღვრისას. სამედიცინო ცენტრის კაპიტალში ასევე არ ასახულა მის ტერიტორიაზე აგებული 66,100 ლარის დამხმარე ნაგებობების ღირებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე,

---

[7] 2012 წლის 24 აპრილისა და 25 ოქტომბრის ხელშეკრულებები.

[8] 2011 წლის 30 სექტემბერი, ბრძანება №1-3/1052.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია სამედიცინო ცენტრის კაპიტალი გაეზარდა შესაბამისი თანხით, ხოლო პრივატიზაციის ყველა პირობა დაეტოვებინა უცვლელი. შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" დირექტორის ბრძანებით, აუქციონის განცხადებაში 29,378,010 ლარის ღირებულების აქცია შეიცვალა 30,296,304 ლარის ღირებულების აქციით.

2011 წლის 10 ნოემბერს, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ", სს „აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" 1 ლარი ნომინალური ღირებულების მქონე 30,296,304 ცალი აქცია, შპს „ჯორჯიან მედს" მიჰყიდა 6,670,000 ლარად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" წერილების საფუძველზე, მყიდველს ობიექტი გადაეცა საგადასახადო დავალიანების გარეშე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილის[9] მიხედვით, სს „აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს" 2011 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გააჩნდა:

- 22,054,274 ლარის დებიტორული დავალიანება;
- 4,140,002 ლარის კრედიტორული დავალიანება

გამოვლენილი კანონშეუსაბამობა

მოთხოვნის მიუხედავად, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა, სადაც განსაზღვრული იქნებოდა გაყიდვის მომენტისათვის სს „აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" რეალური საბაზრო ღირებულება.

კანონშეუსაბამობის გავლენა

იმ შეზღუდვიდან გამომდინარე, რომ ვერ იქნა წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა, გაურკვეველია სამედიცინო ცენტრის გასხვისება იყო თუ არა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან[10] და მასში გადახდილი თანხა შეესაბამებოდა თუ არა მის რეალურ ღირებულებას.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გასხვისებული მიწის ნაკვეთები

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ საჯარო აუქციონზე გაიყიდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე 39 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით - 35,497,274 კვ.მ და მათზე მდებარე სამელიორაციო, საირიგაციო და სხვა ხაზოვანი ნაგებობები, 1,597,000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად, რაც განსაზღვრული იყო საქართველოს მთავრობის განკარგულებით[11]. თუმცა მოქმედი კანონმდებლობით[12], საწყისი საპრივატიზებო ფასი უნდა განსაზღვრულიყო დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნის საფუძველზე.

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" საწესდებო კაპიტალში, აღნიშნული ქონება შეტანილ იქნა 2,440,500 ლარის ღირებულებით (1 ჰექტარი - 400 აშშ დოლარის ექვივალენტი - 688 ლარი). აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილების[13] თანახმად, დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე 1 ჰექტარი სახნავი, სათიბი და საძოვარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასები შესაბამისად შეადგენს 1,000, 120 და 60 ლარს. ვინაიდან საჯარო რეესტრიდან მიღებულ ამონაწერებში არ ფიქსირდებოდა მიწის ნაკვეთების დანიშნულება კატეგორიების მიხედვით, აუდიტორული დასკვნის თანახმად, მიწის ღირებულება განისაზღვრა საბაზრო ფასების გათვალისწინებით. თუმცა აუდიტორულ დასკვნაში არ ჩანს რა კვლევა იქნა ჩატარებული მიწის კატეგორიების დასადგენად.

---

[9] 2011 წლის 28 ოქტომბრის №06/24527 წერილი

[10] საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 აგვისტოს №659 ბრძანებულება

[11] 2011 წლის 16 მარტის №577 განკარგულება.

[12] საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 აგვისტოს №659 ბრძანებულება.

[13] 2011 წლის 13 იანვრის №15 დადგენილება.

გამოვლენილი გარემოება

საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, ორი[14] ნაკვეთი საერთო ფართობით -444,307 კვ.მ, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ საწესდებო კაპიტალში შეტანამდე დარეგისტრირებული იყო ვაშლოვანის ნაკრძალის სექტორში, თუმცა აღნიშნულ ნაკვეთებს ბიუროს კაპიტალში შეტანის წინ, შეეცვალათ საკადასტრო კოდები და მიეკუთვნა ზემო ქედის მიწებს. სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ წერილის[15] თანხმად, აღნიშნული ნაკვეთები, 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არ წარმოადგენდა ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის და ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტერიტორიას.

5.2 აუდიტორის მიერ შეფასებული ქონების დაუდგენელი რეალური ღირებულება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აუდიტორის მიერ გაყიდვის დროს შეფასებული ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება იმავე ქონების კაპიტალში შეტანის დროს შეფასებულ ღირებულებას:

ქონების დასახელება	ღირებულება კაპიტალში შეტანის დროს	ღირებულება გაყიდვის დროს	სხვაობა
თბილისი, 26 მაისის მოედნის №2-ში მდებარე 3807 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი და 746 კვ.მ ასს მიწის ნაკვეთი (01.10.17.036.003);	63,819	1,000,000	936,181
თბილისი, 26 მაისის მოედნის №2-ში მდებარე 637 კვ.მ ფართობი და მასზე წილობრივად დამაგრებული 124 კვ.მ ასს მიწის ნაკვეთი (01.10.17.036.003);	10,676	225,000	214,324
თბილისი, 26 მაისის მოედნის №2-ში მდებარე 640 კვ.მ ფართობი და მასზე წილობრივად დამაგრებული 125.48 კვ.მ ასს მიწის ნაკვეთი (01.10.17.036.003);	10,729	195,000	184,271
ქუთაისი, ასათიანის ქ. №96-ში მდებარე 599 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი და მასზე წილობრივად დამაგრებული 334 კვ.მ ასს მიწის ნაკვეთი (03.04.07.413);	46,947	95,000	48,053
თბილისი, კოსტავას ქ.№70-ში მდებარე 125.4 კვ.მ ფართობი და მასზე წილობრივად დამაგრებული 118.56 კვ.მ ასს მიწის ნაკვეთი (01.10.13.031.006.06.505;)	3 ,177	50,000	46,823
თბილისი, მოსკოვის გამზირის მე-4 მ/რ, მე-4 კვ., კ. №3-ში მდებარე 204 კვ.მ ფართობი და დაუზუსტებელი ფართობის ასს მიწის ნაკვეთი (01.19.35.004.015.01.500);	9,841	45,000	35,159
თბილისი, სოფ. შინდისში, წავკისის გადასახვევის მიმდებარედ არსებული 1952 კვ.მ მიწის ნაკვეთი(81.02.12.802) და მასზე განთავსებული 265.0 კვ.მ შენობა-ნაგებობები;	66,375	80,000	13,625
თბილისი, სოფ. დიღომში არსებული 6,500 კვ.მ მიწის ნაკვეთი(001.72.14.034.345) და მასზე განთავსებული 146.0 კვ.მ შენობა-ნაგებობები.	21,000	30,000	9,000
სულ:	**232,564**	**1,720,000**	**1,487,436**

[14] საკადასტრო კოდი №52.74.31.010 და №52.74.31.011.

[15] 2013 წლის 24 მაისის N767 წერილი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აუდიტორის მიერ გაყიდვის დროს შეფასებული ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად ნაკლებია იმავე ქონების კაპიტალში შეტანის დროს შეფასებულ ღირებულებაზე:

ქონების დასახელება	ღირებულება კაპიტალში შეტანის დროს	ღირებულება გაყიდვის დროს	სხვაობა
შპს „მცხეთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი-„ჯანმრთელი თაობის“ 100%-იანი წილი	527,164	270,000	(257,164)
შპს „ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრის“ 100 %-იანი წილი	484,887	400,000	(84,887)
თბილისი, პეკინის ქ. №4 (1297 კვ.მ ასს დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 01.10.17.011.027 და შენობა-ნაგებობები - 5876 კვ.მ.)	6,155,000	6,075,000	(80,000)
ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირის №98-ში მდებარე 2751 კვ.მ. ასს მიწის ნაკვეთი (03.06.25.120)	115,542	60,000	(55,542)
სულ:	**7,282,593**	**6,805,000**	**(477,593)**

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ თანხმობების საფუძველზე, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ აუქციონის გარეშე 3,400,000 ლარად გაყიდა შპს „ანაკლია დეველოპმენტში“ 5%-იანი წილი. 2012 წლის 9 თებერვლის აუდიტორული დასკვნის თანახმად, ბიუროს კაპიტალში შეტანილი შპს „ანაკლია დეველოპმენტის“ 5%-იანი წილის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 7,652 ლარს, ხოლო 2012 წლის 13 თებერვლის აუდიტორული დასკვნის თანახმად, იმავე ქონების გასაყიდი ფასი განისაზღვრა 3,200,000 ლარის ოდენობით, თუმცა აუდიტორის შეფასება არ ეყრდნობა რაიმე გონივრულ და დასაბუთებულ გათვლებს.

  ამასთან, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ დირექტორის ბრძანებით[16], შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალიდან ამოღებულ იქნა და შპს „ანაკლია დეველოპმენტის“ საწესდებო კაპიტალში შევიდა ფულადი თანხა 3,400,000 ლარი. ფაქტობრივად, ბიუროს კაპიტალში 7,652 ლარად შეტანილი შპს „ანაკლია დეველოპმენტის“ 5%-იანი წილი, რომელიც გაიყიდა 3,400,000 ლარად, ისევ შეტანილ იქნა შპს „ანაკლია დეველოპმენტის“ კაპიტალში. ამის შედეგად, შპს „ანაკლია დეველოპმენტის“ 5%-იანი წილის ნომინალური ღირებულება კაპიტალის გაზრდის შემდეგ, გახდა 177,269 [17]ლარი.

- ანალოგიურად, თბილისში ფალიაშვილის ქ. №87-ში მდებარე 1,520 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 4,676 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, 2010 წლის 5 ნოემბრის აუდიტორული დასკვნით შეფასებული და ბიუროს კაპიტალში შეტანილ იქნა 600,000 ლარის ღირებულებით, ხოლო იგივე ქონება 2011 წლის 30 ივნისს შეფასდა 1,946,000 ლარად. აუდიტორულ დასკვნებში არ არის მითითებული ფასთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობის მიზეზები. თუმცა შემფასებლის განმარტებით, 2010 წლის 5 ნოემბრის დასკვნაში დაშვებულია შეცდომა და ქონება კაპიტალში შევიდა ისტორიული ღირებულებით და არა აუდიტორის მიერ შეფასებული საბაზრო ღირებულებით. ხოლო 2011 წლის 30 ივნისის დასკვნით, ბიუროს კაპიტალში შეტანილი ქონების ღირებულება განისაზღვრა მიწის ნაკვეთის ნორმატიული და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულების ერთობლიობით.

[16] 2012 წლის 22 თებერვლის №1-3/106 ბრძანება.
[17] (153 040.0 – 7 652 + 3 400 000.0) x 5%.

5.3 აუდიტორის შეფასებისას დაშვებული შეცდომით გასხვისებული ქონება

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ რეალიზებულია სს „თბილისის ექსპერიმენტული სამშობიარო სახლის“ აქციათა 100%. წილის საბაზრო ღირებულება აუდიტორული დასკვნით განისაზღვრა 788,000 ლარით, თუმცა ფასი მიღებულია გარკვეული უზუსტობის შედეგად.

ქვემოთ მოცემულია აუდიტორის მიერ საწარმოს ღირებულების განსაზღვრისთვის ჩატარებული დათვლები:

აქტივები 539,429 აშშ დოლარი

ვალდებულებები (95,065 ლარი)

წმინდა აქტივები 440,000 აშშ დოლარი

წმინდა აქტივები 788,000 ლარი

აუდიტორს არ გაუთვალისწინებია, რომ აქტივები გამოსახული იყო აშშ დოლარში, ხოლო ვალდებლებები ქართულ ლარში და მოახდინა პირდაპირ გამოკლება. სწორად დათვლის შემთხვევაში აქტივების წმინდა ღირებულება 788,000 ლარის ნაცვლად განისაზღვრებოდა 869,920 ლარის ოდენობით.

ფაქტობრივად, აღნიშნული ქონება გაიყიდა 870,000 ლარად (საწყისი გასაყიდი ფასი - 850,000 ლარს დამატებული ბიჯის თანხა - 20,000 ლარი). თუმცა საწყისი ღირებულების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, აღნიშნული ქონების საწყისი ფასი ნაცვლად 850,000 ლარისა იქნებოდა 869,920 ლარი.

5.4 გასხვისებული ქონებიდან მიღებული თანხები

გამოვლენილი ნაკლოვანება

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ დირექტორის ბრძანების[18] საფუძველზე, საჯარო აუქციონის ფორმით გაიყიდა სოფ. მარტყოფში მდებარე 40,040 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა[19] და სსიპ „საწარმოთა მართვის საგენტოს“[20] წერილების თანახმად, აღნიშნული ქონების გასაყიდი ფასი განისაზღვრა 123,000 ლარით დღგ-ს გარეშე, თუმცა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ გაყიდა 123,000 ლარად დღგ-ს ჩათვლით.

შესაძლო გავლენა

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „საწარმოთა მართვის საგენტოს“ მიერ განსაზღვრულ ღირებულებასთან შედარებით, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ განახორციელა ქონების 22,140 ლარით ნაკლებ ფასად რეალიზება.

გამოვლენილი გარემოება

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ დირექტორის[21] ბრძანების საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის ფორმით გაიყიდა შპს „ლაზერის“ 100 %-იანი წილი. ამავე ბრძანების თანახმად, მყიდველს აუქციონზე დასახელებული საბოლოო ფასი უნდა გადაეხადა აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, 2012 წლის 3 მაისის ჩათვლით. საბოლოო თანხის ჩარიცხვა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ ანგარიშზე მოხდა 3 დღის დაგვიანებით, 2012 წლის 7 მაისს, რაც ბიუროს განმარტებით[22] განაპირობებული იყო მყიდველის მიერ სს „თიბისი ბანკის“ საბანკო გარანტიიდან თანხის არადროული ანაზღაურებით.

---

[18] 2011 წლის 24 მარტის №1-42 ბრძანება.
[19] 2011 წლის 24 მარტის №06/5769 წერილი.
[20] 2011 წლის 25 მარტის №33/94 წერილი.
[21] 2012 წლის 4 აპრილის №1-34 ბრძანება.
[22] 2013 წლის 20 მაისის №0185 განმარტება.

გამოვლენილი გარემოება

ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში, მყიდველების მიერ ე.წ. „ბე"-ს თანხები გადახდილია აუქციონის დასრულების შემდგომ, რაც ბიუროს განმარტებით[23] განაპირობებული იყო როგორც მყიდველის მიერ საბანკო გარანტიიდან, ასევე სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან" აუქციონზე გამოტანილ ლოტებზე გადახდილი ე.წ „ბე"-ს თანხების შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" ანგარიშზე არადროული ანაზღაურებით.

- ელექტრონული აუქციონის ფორმით გაიყიდა ავტომანქანა „ტოიოტა ლენდკრუიზერი - LC 200". აუქციონი დასრულდა 2012 წლის 11 ოქტომბერს, ხოლო „ბე"-ს თანხა მყიდველის მიერ გადახდილია 2012 წლის 15 ოქტომბერს;
- ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე №34-ში მდებარე 36.5 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობის ელექტრონული აუქციონი დასრულდა 2012 წლის 25 მაისს, ხოლო „ბე"-ს თანხის, 30,000 ლარის გადახდა განხორციელდა 2012 წლის 29 მაისს.
- ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე №15-ში მდებარე 301 კვ.მ ფართობის რეალიზებისას, აუქციონის ერთ-ერთ პირობად განისაზღვრა, რომ მყიდველი ქონების საწყისი გასაყიდი ფასის 30%-ს გადაიხდიდა აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში, 2012 წლის 26 აპრილამდე, თუმცა პირველი გადახადა განხორციელდა 2012 წლის 8 მაისს.

5.5 იჯარიდან მიღებული შემოსავლები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2010, 2011 და 2012 წლებში შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლები:

შემოსავლების დასახელება	2010	2011	2012	სულ
ქონების იჯარიდან მიღებული თანხები	-	3,893,583	6,187,480	10,081,063
გაუქმებულ იჯარის აუქციონებიდან დარჩენილი „ბე"	-	944	450	1,394
სულ:	-	**3,894,527**	**6,187,930**	**10,082,457**

5.6 სხვა შემოსავლები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2010, 2011და 2012 წლებში შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" მიერ საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან და აუქციონზე მონაწილეობის ბილეთებიდან მიღებული შემოსავლები:

შემოსავლების დასახელება	2010	2011	2012	სულ
საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	6,477	3,444,864	3,807,952	7,259,293
აუქციონზე მონაწილეობის ბილეთების საფასური	500	1,040	-	1,540
სულ:	**6,977**	**3,445,904**	**3,807,952**	**7,260,833**

[23] 2013 წლის 20 მაისის N0185 განმარტება.

6. დამატებული ღირებულების გადასახადი

მე-6 პუნქტთან დაკავშირებით, სახელმწიფო ხაზინიდან, შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიუროსთვის" 15,200,000 ლარის ჩასათვლელი დღგ-ს თანხის დაბრუნება, შესაბამისობაშია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებთან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის[24] შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა გადასახადის გადამხდელს უბრუნდება საგადასახადო ორგანოში განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურომ" გამოიყენა მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და დაიბრუნა დამატებული ღირებულების გადასახადში არსებული ნამეტი თანხებიდან 15,200,000 ლარი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" დღგ-ს ანგარიშზე არსებული ბუღალტრული ნაშთები:

2010 წელი	გადასახდელი დღგ	ჩასათვლელი დღგ	გადახდილი დღგ	ზედმეტობა (ვალდებულება)	დაბრუნებული დღგ
ოქტომბერი	-	-	-	-	-
ნოემბერი	35,397	179	34,162	(1,055)	-
დეკემბერი	148,476	160	-	(149,372)	-

2011 წელი	გადასახდელი დღგ	ჩასათვლელი დღგ	გადახდილი დღგ	ზედმეტობა (ვალდებულება)	დაბრუნებული დღგ
იანვარი	1,174,594	467	1,845,524	522,025	-
თებერვალი	257,206	4,484	-	269,303	-
მარტი	579,577	1,213,187	-	902,913	-
აპრილი	16,053	2,114	-	888,974	-
მაისი	314,177	577,192	-	1,151,988	-
ივნისი	476,038	371,690	-	1,047,641	-
ივლისი	500,651	3,005,057	-	3,552,047	-
აგვისტო	3,043,868	4,357,587	1,288,816	6,154,581	-
სექტემბერი	97,684	2,656,552	-	8,713,450	-
ოქტომბერი	82,403	2,099,375	-	10,730,422	-
ნოემბერი	31,485	205,269	-	10,904,205	-
დეკემბერი	767,136	3,642,113	-	8,279,183	5,500,000

2012 წელი	გადასახდელი დღგ	ჩასათვლელი დღგ	გადახდილი დღგ	ზედმეტობა (ვალდებულება)	დაბრუნებული დღგ
იანვარი	87,639	1,025,462	-	9,217,006	-
თებერვალი	146,334	397,689	-	9,468,361	-
მარტი	259,303	1,358,637	-	6,567,695	4,000,000
აპრილი	1,246,314	1,774,440	-	7,095,822	-
მაისი	115,943	(802,078)	-	6,177,801	-
ივნისი	137,889	1,202,835	-	7,242,747	-
ივლისი	517,971	868,808	-	7,593,585	-
აგვისტო	179,029	1,748,865	-	4,963,421	4,200,000
სექტემბერი	677,575	7,198,198	-	9,984,045	1,500,000
ოქტომბერი	83,991	2,722	-	9,902,775	-
ნოემბერი	83,985	1,076,168	-	10,894,958	-
დეკემბერი	84,345	242,782	-	11,053,396	-

[24] 63-ე მუხლის მე-3 პუნქტი

7. საპროექტო სამუშაოები

მე-7 პუნქტთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ქ. ქუთაისის მერიასა და CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I-ს შორის არქიტექტურული სამუშაოების შესრულებაზე, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ შედგენილა მიღება- ჩაბარების აქტი, საპროექტო სამუშაოებზე ანაზღაურებულია 6,130,704 ლარი.

ქ. ქუთაისში ახალი პარლამენტის შენობის მშენებლობისას, საინჟინრო და საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ქუთაისის მერიის მიერ, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით გაფორმებულია შემდეგი ხელშეკრულებები:

შემსრულებელი	საერთო სახელშეკრულებო თანხა (ლარი)	მიღება-ჩაბარების აქტით (ლარი)	ანაზღაურებული თანხა (ლარი)
შპს „ტუოვი"	225,836	207,094	207,094
შპს „ჯეოლენდი"	68,790	68,790	68,790
შპს „TUSKI GEOLOGY GROUP"	22,000	22,000	22,000
„CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I"	6,660,684	არ არის	6,130,704
სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი"	13,500	13,500	13,500
სულ	**6,990,810**	**311,384**	**6,442,088**

ქვემოთ წარმოდგენილია თითოეული კომპანიის მიერ შესრულებული საპროექტო სამუშაოების აღწერა:

შპს „ტუოვის", ქ. ქუთაისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ევალებოდა სამშენებლო ტერიტორიის უბანზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის განხორციელება, რომლის საერთო სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 181,621 ლარი. ასევე ევალებოდა შენობის საფუძველში ბურღვა-გატენითი ხიმინჯების ტექნიკური ზედამხედველობა, რომლის საერთო სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 44,215 ლარი.

შპს „ჯეოლენდს" ხელშეკრულებით ევალებოდა ტოპოგრაფიული აზომვითი სამუშაოების შესრულება.

შპს TUSKI GEOLOGY GROUP-ს ხელშეკრულებით ევალებოდა სამშენებლო უბანზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის განხორციელება.

CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I - წარმოადგენს ესპანურ არქიტექტურულ კომპანიას, მასთან გაფორმებული ოთხი სხვადასხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- პარლამენტის კონცეპტუალური დიზაინი;
- ძირითადი დიზაინი;
- შენობის დიზაინი;
- პარკის დიზაინი;
- 3D გაფორმება;
- საინჟინრო დიზაინი;
- არქიტექტურული დიზაინი;
- სამშენებლო ნახაზი;
- სპეციალური დიზაინი;
- აკუსტიკური დიზაინი;
- განათების დიზაინი;
- სტუქტურული დიზაინი;
- ხარისხის სპეციფიკურობა და მასალები;
- ხარჯთაღიცხვა;
- ტექნიკური კონსულტაციები;
- ზედა ხედის დაგეგმარება;
- გადამკვეთი განაყოფი;
- 3D ნახატი;
- ხარისხის კონტროლი;
- ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების ანგარიში;
- საბოლოო ანგარიში.

აღსანიშნავია, რომ CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I-სთან ხელშეკრულებები გაფორმებულია ინგლისურ ენაზე, თუმცა მასში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე და უპირატესობა ენიჭება ქართულს, მაგრამ ქ. ქუთაისის მერიიდან ვერ მოვიპოვეთ ორივე მხრიდან ხელმოწერილი ქართულ ენაზე გაფორმებული ხელშეკრულებები.

ქ. ქუთაისის მერიასა და CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I-ს შორის არქიტექტურული სამუშაოების შესრულებაზე არ შედგენილა მიღება-ჩაბარების აქტი.

სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს" გაფორმებული ხელშეკრულებით, ევალებოდა სეისმური საშიშროების დეტალური შეფასება.

პარლამენტის შენობის პროექტირებაზე ხარჯები მთლიანად გაწეულია ქ. ქუთაისის მერიის მიერ და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 6,442,088 ლარი, ხოლო ჯამურმა სახელშეკრულებო თანხამ 6,990,810 ლარი. გადარიცხულსა და სახელშეკრულებო თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I-ზე აუნაზღაურებელი 529,980 ლარის თანხითა და შპს ,,ტუოვის" მიერ 18,742 ლარით ნაკლები ღირებულების სამუშაოს შესრულებით.

8. დემონტაჟის სამუშაოები

მე-8 პუნქტთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოების დამაკმაყოფილებლად შესრულებაზე გაცემულ დასკვნას, ინსპექტირების ჯგუფის არც ერთი წევრი არ აწერს ხელს, აღნიშნული სამუშაო ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მიერ მაინც ჩაითვალა შესრულებულად.

2009 წლის 16 დეკემბერს, ქ.ქუთაისის მერიასა და შპს ,,საქმილსადენმშენს" შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, დიდების მემორიალის დემონტაჟსა და ნარჩენების გატანის მომსახურებას. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 600,000 ლარს.

პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების ჩატარების სამუშაოების განხორციელებაზე შესაბამის მომწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ქუთაისის მერის ბრძანებით[25], შეიქმნა ინსპექტირების ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოების დამაკმაყოფილებლად შესრულებაზე გაცემულ დასკვნას, ინსპექტირების ჯგუფის არც ერთი წევრი არ აწერს ხელს, აღნიშნული სამუშაო ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მიერ მაინც ჩაითვალა შესრულებულად.

შპს ,,საქმილსადენმშენის" მიერ შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილია 3 მიღება- ჩაბარების აქტი, ჯამში 500,000 ლარზე, რომელიც დადასტურებულია ქუთაისის მერიის მხრიდანაც, თუმცა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურებულია მხოლოდ 470,000 ათასი ლარი.

[25] 2009 წლის 16 დეკემბრის №2035 ბრძანება

9. პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოები

მე-9 პუნქტთან დაკავშირებით, პროცედურების შესრულებისას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის ქ. ქუთაისის მერიისა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობის საპროექტო და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია, რის გამოც ვერ მოხერხდა ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შედარება პროექტით გათვალისწინებულთან. მასშტაბის შეზღუდვიდან გამომდინარე, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას საქართველოს პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების მიზნობრიობასა და შედგენილი ხარჯთაღრიცხვის სისწორეზე.

9.1 გაფორმებული ხელშეკრულებები

ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია შპს „მენო ინტერნეიშენელის“ მიერ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შპს „მენო ინტერნეიშენელთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები და მათში შესული ცვლილებები:

თარიღი	დოკუმენტი	დამკვეთი	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)
17.03.2010	ხელშეკრულება №124	ქუთაისის მერია	1,500,000
13.04.2010	დანართი-შეთანხმება №1	ქუთაისის მერია	8,243,126
26.07.2010	დანართი-შეთანხმება №2	ქუთაისის მერია	16,243,126
11.08.2010	დანართი-შეთანხმება №4	ქუთაისის მერია	43,018,381
23.09.2010	დანართი-შეთანხმება №5	ქუთაისის მერია	57,518,381
23.12.2010	დანართი-შეთანხმება №6	ქუთაისის მერია	64,518,381
31.01.2011	დანართი-შეთანხმება №7	ქუთაისის მერია და ბიურო	145,000,000
28.02.2011	დანართი-შეთანხმება №8	ბიურო	145,000,000
01.11.2011	დანართი-შეთანხმება №9	ბიურო	250,000,000
08.12.2011	დანართი-შეთანხმება №10	ბიურო	281,000,000

გამოვლენილი ნაკლოვანება

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, შპს „მენო ინტერნეიშენელთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში და მასში შეტანილ ცვლილებებში განსაზღვრული ღირებულებები არ ემყარება არანაირ გათვლებს.

შესაძლო გავლენა

სამშენებლო სამუშაოებზე წინასწარ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების არარსებობის გამო, სახელშეკრულებო თანხა არ შეესაბამება ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობის რეალურ ღირებულებას. ამიტომ, გაურკვეველია ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოებზე შპს „მენო ინტერნეიშნლს“ მოგების რა მარჟა ჰქონდა გათვალისწინებული.

9.2 შესრულებული სამუშაოები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია შპს „მენო ინტერნეიშნლის“ მიერ ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობაზე შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი ფორმა №2-ებისა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის შედეგად დაკორექტირებული თანხები:

ქუთაისის მერია 2010	ფორმა №2-ით	ექსპერტიზით	სხვაობა
აპრილი	2,703,693	2,696,378	7,314
მაისი	3,781,744	3,781,744	-
ივნისი	2,732,822	2,732,822	-
ივლისი	3,873,098	4,682,570	(809,472)
აგვისტო	5,353,225	5,353,225	-
სექტემბერი	6,820,990	7,082,941	(261,952)
ოქტომბერი	2,842,704	2,842,704	-
ნოემბერი	1,350,834	1,350,834	-
დეკემბერი	5,191,861	5,191,861	-
სულ 2010	**34,650,972**	**35,715,080**	**(1,064,109)**

ქუთაისის მერია 2011	ფორმა №2-ით	ექსპერტიზით	სხვაობა
იანვარი	5,548,168	5,548,168	-
მარტი	353,687[26]	353,687	-
სულ 2011	**5,901,855**	**5,901,855**	**-**
სულ ქუთაისის მერია	**40,552,826**	**41,616,935**	**(1,064,109)**

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ 2011	ფორმა №2-ით	ექსპერტიზით	სხვაობა
თებერვალი	4,378,289	4,289,151	89,138
მარტი	3,907,338	3,871,674	35,664
აპრილი	1,820,999	1,804,154	16,846
მაისი	22,320,800	11,041,728	11,279,071
ივნისი	15,744,222	7,782,776	7,961,446
ივლისი	10,181,753	8,789,860	1,391,893
აგვისტო	39,334,893	11,634,809	27,700,084
სექტემბერი	14,534,892	7,865,834	6,669,058
ოქტომბერი	4,521,403	4,521,403	-
ნოემბერი	-	-	-
დეკემბერი	5,300,908	9,356,536	(4,055,628)
სულ 2011	**122,045,496**	**70,957,925**	**51,087,571**

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ 2012	ფორმა №2-ით	ექსპერტიზით	სხვაობა
იანვარი	6,502,700	8,601,586	(2,098,886)
თებერვალი	3,865,476	3,613,199	252,277
მარტი	5,636,439	5,498,187	138,253
აპრილი	9,575,882	9,417,794	158,088
მაისი	25,978,855	25,861,530	117,325
ივნისი	13,587,030	14,747,187	(1,160,157)
ივლისი	9,465,794	8,982,785	483,009
სულ 2012	**74,612,176**	**76,722,268**	**(2,110,092)**
სულ ბიურო	**196,657,672**	**147,680,193**	**48,977,479**
სულ პარლამენტის მშენებლობა	**237,210,498**	**189,297,128**	**47,913,370**

[26] 2011 წლის მარტში, ქ. ქუთაისის მერიის მიერ 353 687.0 ლარის ღირებულების მიღებული სამუშაო წარმოადგენდა ქ. ქუთაისის ცენტრში სკვერის მოწყობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობაზე, შპს „მენო ინტერნეიშენელის“ მიერ წარმოდგენილი ფორმა №2-ების ჯამური თანხა შეადგენს 237,210,498 ლარს, ხოლო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურებული სამუშაოს მოცულობა შეადგენს 189,297,128 ლარს, სხვაობის თანხა 47,913,370 ლარი წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნების შედეგად შემცირებულ თანხას. შესრულებულად სამუშაო ითვლება მას შემდეგ, რაც ექსპერტიზის ბიურო აღნიშნულ სამუშაოზე გასცემს დასკვნას.

9.3 მშენებლობაზე ზედამხედველობა

- შპს „მენო ინტერნეიშნლთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ყოველთვიურად მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) გაფორმების შემდგომ. ქ. ქუთაისის მერის ბრძანებით[27], შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, ევალებოდა ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს.

გამოვლენილი ნაკლოვანება

ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისთვის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვნებით შესრულებულია 189,297,128 ლარის სამუშაო, ხოლო ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ ინსპექტირების აქტი გაფორმებულია მხოლოდ - 96,356,581ლარის სამუშაოზე.

შესაძლო გავლენა

ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ, საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობაზე ინსპექტირება განხორციელდა მხოლოდ ნაწილობრივ, რითაც არ იქნა შესრულებული ქუთაისის მერის ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნა.

- ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის სამშენებლო სამუშაოებზე, საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის მომსახურების შესყიდვის მიზნით, ქ. ქუთაისის მერიასა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2010 წლის 23 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება 200,000 ლარზე. მიღება-ჩაბარების აქტით კვლევა დაიწყო 2010 წლის 6 დეკემბერს, ხოლო 2010 წლის 31 დეკემბერს, ქუთაისის მერიამ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ აუნაზღაურა 149,274 ლარი.

გამოვლენილი ნაკლოვანება

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ გაცემული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ პირველი დასკვნა გაკეთებულია 2011 წლის 23 თებრვალს, თუმცა ქუთაისის მერიის მიერ ექსპერტიზის სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია, დაახლოებით, ორი თვით ადრე, 2010 წლის 31 დეკემბერს.

შესაძლო გავლენა

აღნიშნული ფაქტი ცხადყოფს, რომ სამუშაოების მიღება-ჩაბარებას ჰქონდა ფორმალური ხასიათი და რეალურად მათი გაფორმების მომენტში, ფაქტობრივად არ იყო ჯეროვნად შესრულებული ყველა ის სამუშაო, რომელიც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

---

[27] 2009 წლის 16 დეკემბრის №2035 ბრძანებ.ა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის, შესრულებისა და ანაზღაურების მდგომარეობა:

ორგანიზაცია	ხელშეკრულებით	შესრულებული	ანაზღაურებული
ქუთაისის მერია	225,500	149,274	149,274
შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	450,000	450,000	450,000
სულ:	**675,500**	**599,274**	**599,274**

9.4 სხვა სამშენებლო ხარჯები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისას გაწეული სხვა ხარჯების შემსრულებელი კომპანიების ჩამონათვალი:

შემსრულებელი	სახელშეკრულებო თანხა (ლარი)	მიღება-ჩაბარების აქტით (ლარი)	ანაზღაურებული თანხა (ლარი)
,,CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I"	583,300	593,750	593,750
შპს ,,ტოპ ტრანს სერვისი"	30,143	არ არის	32,542
შპს ,,აუთდორჯი"	4,000	4,000	3,999
შპს ,,ინოტექსი"	10,910	6,873	6,873
განბაჟებასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	115,884
სულ	**628,353**	**604,623**	**753,048**

ქვემოთ წარმოდგენილია თითოეული კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების აღწერა:

CMD DOMINGO Y LAZARO INGENIEROS, S.I-ს ქ. ქუთაისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ევალებოდა სკულპტურების კონცეპტუალური დიზაინით უზრუნველყოფა, სკულპტურების ფუნდამენტის პროექტის მომზადება და მატერიალური უზრუნველყოფა (ბრინჯაო) ესპანეთის ქ. ვალენსიის პორტამდე, რომლის საერთო სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 250,000 ევრო, რაც ხელშეკრულების გაფორმების დღის არსებული კურსით 583,300 ლარს უტოლდებოდა.

სახელშეკრულებო და გადახდილ თანხებს შორის არსებული სხვაობა, წარმოადგენს სავალუტო კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეულ სხვაობას.

შპს „ტოპ ტრანს სერვისს" ქ. ქუთაისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ევალებოდა ესპანეთის ქ. ვალენსიიდან ქ. ქუთაისში 5 ცალი 7-მეტრიანი ანგელოზის ქანდაკების ტრანსპორტირება, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 13,000 ევროთი, რაც ხელშეკრულების გაფორმების დღის არსებული კურსით 30,143 ლარს შეადგენდა.

სახელშეკრულებო და გადახდილ თანხებს შორის არსებული სხვაობა, წარმოადგენს სავალუტო კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეულ სხვაობას.

შპს „აუთდორჯის" ქ. ქუთაისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ევალებოდა ქ. ქუთაისში მდებარე მონიტორზე პირდაპირი ეთერის გაშვება 3 თვის განმავლობაში, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება 4,000 ლარს შეადგენდა.

შპს „ინოტექსს" ქ. ქუთაისის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ევალებოდა პარლამენტის მშენებლობის ტერიტორიაზე, სამი ინტერნეტ IP-კამერის მონტაჟი და ვიდეონაკადების ვებგვერდზე განთავსება.

სახელშეკრულებო და გადახდილ თანხებს შორის არსებული სხვაობა, გამოწვეულია შპს „ინოტექსის" მიერ 4,037 ლარით ნაკლები ღირებულების სამუშაოს შესრულებით.

9.5 *სამშენებლო სამუშაოებზე ანაზღაურებული თანხები*

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია თვეების მიხედვით ქ. ქუთაისის მერიისა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ შპს „მენო ინტერნეიშნლისთვის“ ანაზღაურებული და შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებების თანხების შედარება:

	ორგანიზაციის დასახელება	თვე	შესრულებული სამუშაო ნაზარდი ჯამით	გადახდა ნაზარდი ჯამით	ავანსი (ვალდებულება)
2010 წელი	ქუთაისის მერია	მარტი	-	1,500,000	1,500,000
	ქუთაისის მერია	აპრილი	2,696,378	6,500,000	3,803,622
	ქუთაისის მერია	მაისი	6,478,122	6,500,000	21,878
	ქუთაისის მერია	ივნისი	9,210,944	6,500,000	(2,710,944)
	ქუთაისის მერია	ივლისი	13,893,514	14,500,000	606,486
	ქუთაისის მერია	აგვისტო	19,246,739	41,775,255	22,528,516
	ქუთაისის მერია	სექტემბერი	26,329,680	50,775,255	24,445,575
	ქუთაისის მერია	ოქტომბერი	29,172,385	55,047,833	25,875,448
	ქუთაისის მერია	ნოემბერი	30,523,219	56,089,803	25,566,584
	ქუთაისის მერია	დეკემბერი	35,715,080	62,089,803	26,374,723
2011 წელი	ქუთაისის მერია	იანვარი	41,263,248	65,589,803	24,326,555
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	თებერვალი	45,552,399	70,997,807	25,445,408
	ქუთაისის მერია	მარტი	45,906,086	70,997,807	25,091,721
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	მარტი	49,777,760	70,997,807	21,220,047
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აპრილი	51,581,914	83,594,916	32,013,003
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	მაისი	62,623,642	89,466,590	26,842,948
	ქუთაისის მერია	მაისი	62,623,642	89,820,277	27,196,635
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ივნისი	70,406,418	95,480,277	25,073,859
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ივლისი	79,196,277	104,745,651	25,549,373
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აგვისტო	90,831,087	114,745,651	23,914,564
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	სექტემბერი	98,696,921	135,890,213	37,193,293
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ოქტომბერი	103,218,324	142,832,888	39,614,565
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ნოემბერი	103,218,324	160,832,888	57,614,565
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	დეკემბერი	112,574,860	168,659,310	56,084,450
2012 წელი	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	იანვარი	121,176,446	177,223,154	56,046,708
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	თებერვალი	124,789,645	177,223,154	52,433,509
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	მარტი	130,287,832	177,223,154	46,935,322
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აპრილი	139,705,626	197,292,144	57,586,518
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	მაისი	165,567,156	209,286,756	43,719,600
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ივნისი	180,314,343	215,913,605	35,599,262
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ივლისი	189,297,128	221,313,605	32,016,477
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აგვისტო	189,297,128	241,313,605	52,016,477
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	სექტემბერი	189,297,128	268,313,605	79,016,477
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ოქტომბერი	189,297,128	282,413,605	93,116,477

10. პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები

მე-10 პუნქტთან დაკავირებით, პროცედურების შესრულებისას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ ვერ წარმოადგინა ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია, რის გამოც ვერ მოხერხდა ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შედარება, პროექტით გათვალისწინებულთან. მასშტაბის შეზღუდვიდან გამომდინარე, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების მიზნობრიობასა და შედგენილი ხარჯთაღრიცხვის სისწორეზე.

10.1 გაფორმებული ხელშეკრულებები

ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ მიერ.

მშენებლობისათვის სამუშაოების განხორციელების მიზნით, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსა“ და შპს „კავკასუს როუდ პროჯექტს“ შორის მშენებლობაზე ხელშეკრულება გაფორმებულია 2011 წლის 25 ივლისს, რომლის საორიენტაციო ჯამური ღირებულება შეადგენდა 37 მილიონ ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტირება და სამუშაოები ხორციელდებოდა პარალელურ რეჟიმში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო სამუშაოების მოცულობების დაზუსტების და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შემდეგ, მხარეებს შორის შეთანხმებით, ხელშეკრულების დანართის გაფორმება, სადაც აღნიშნული იქნებოდა შესასრულებელი სამუშაოების უკვე დაზუსტებული მოცულობები და მათი მთლიანი ჯამური ღირებულება. მხარეებს შორის დანართი-შეთანხმება გაფორმებულია ორჯერ და საბოლოო დანართი-შეთანხმებით, ხელშეკრულების საორიენტაციო ჯამურ ღირებულებად განისაზღვრა 38 მილიონი ლარი.

გამოვლენილი ნაკლოვანება

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, შპს „კავკასუს როუდ პროჯექტთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში და მასში შეტანილ ცვლილებებში განსაზღვრული ღირებულებები არ ემყარება დასაბუთებულ გათვლებს.

შესაძლო გავლენა

სამშენებლო სამუშაოებზე წინასწარ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების არარსებობის გამო, სახელშეკრულებო თანხა არ შეესაბამება თვითმმართველ ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის რეალურ ღირებულებას. არსებული შეზღუდვიდან გამომდინარე, უცნობია ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოებზე შპს „კავკასუს როუდ პროჯექტს“ მოგების რა მარჟა ჰქონდა გათვალისწინებული.

10.2 შესრულებული სამუშაოები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ მიერ, ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობაზე შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი ფორმა №2-ების და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის შედეგად კორექტირებული თანხები:

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ 2011	ფორმა №2-ით	ექსპერტიზით	სხვაობა
აგვისტო	396,519	396,519	-
სექტემბერი	311,337	311,337	-
ოქტომბერი	304,572	304,572	-
ნოემბერი	183,713	183,713	-
დეკემბერი	2,219,490	2,219,490	-
სულ 2011	**3,415,631**	**3,415,631**	**-**

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო "2012	ფორმა №2-ით	ექსპერტიზით	სხვაობა
იანვარი	3,701,581	3,679,568	22,013
თებერვალი	2,830,179	2,758,716	71,463
მარტი	1,029,696	1,029,696	-
აპრილი	2,539,580	2,514,992	24,589
მაისი	2,701,924	2,700,540	1,384
ივნისი	1,113,951	1,102,715	11,236
ივლისი	6,941,309	6,941,309	-
აგვისტო	5,856,779	5,835,737	21,042
სექტემბერი	7,001,517	7,000,960	557
ოქტომბერი	481,911	481,911	-
სულ 2012	**34,198,428**	**34,046,144**	**152,284**
სულ ადმინისტრაციული შენობა	**37,614,059**	**37,461,775**	**152,284**

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობაზე, შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის" მიერ წარმოდგენილი ფორმა №2-ების ჯამური თანხა შეადგენს 37,614,059 ლარს, ხოლო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურებული სამუშაოს მოცულობა შეადგენს 37,461,775 ლარს, სხვაობის თანხა 152,284 ლარი წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნების შედეგად შემცირებულ თანხას.

10.3 მშენებლობაზე ზედამხედველობა

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტთან" გაფორმებული ხელშეკრულებით, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ყოველთვიურად მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) გაფორმების შემდგომ. ქუთაისის მერის ბრძანებით[28], შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, ევალებოდა ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს.

გამოვლენილი ნაკლოვანება

ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მშენებლობისთვის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" ექსპერტიზის დასკვნებით შესრულებულია 37,461,775 ლარის სამუშაოები, ხოლო ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ ინსპექტირების ჯგუფის დასკვნები გაფორმებულია მხოლოდ 29,610,195 ლარის სამუშაობზე, ხოლო დარჩენილი 7,851,580 ლარის სამუშაოები, შეასრულა შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის" ქვეკონტრაქტორმა შპს „თბილმა სახლმა", რაზეც ინსპექტირების ჯგუფის დასკვნები არ გაცემულა.

შესაძლო გავლენა

ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობაზე ინსპექტირება განხორციელდა მხოლოდ ნაწილობრივ, რითაც არ იქნა შესრულებული ქუთაისის მერის ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნა[29].

[28] 2009 წლის 16 დეკემბრის №2035 ბრძანება

10.4 სამშენებლო სამუშაოებზე ანაზღაურებული თანხები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია თვეების მიხედვით შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ შპს „კავკასუს როუდ პროჯექტისთვის“ ანაზღაურებული და შესრულებული სამუშაოებიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულებების თანხების შედარება:

	ორგანიზაციის დასახელება	თვე	შესრულებული სამუშაო ნაზარდი ჯამით	გადახდა ნაზარდი ჯამით	ავანსი (ვალდებულება)
2011 წელი	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აგვისტო	396,519	7,000,000	6,603,481
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	სექტემბერი	707,856	9,250,000	8,542,144
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ოქტომბერი	1,012,428	9,626,693	8,614,265
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ნოემბერი	1,196,141	9,922,463	8,726,322
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	დეკემბერი	3,415,631	15,211,807	11,796,176
2012 წელი	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	იანვარი	7,095,199	15,386,334	8,291,135
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	თებერვალი	9,853,915	16,179,575	6,325,660
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	მარტი	10,883,611	16,179,575	5,295,964
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აპრილი	13,398,603	19,816,131	6,417,528
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	მაისი	16,099,143	19,816,131	3,716,988
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ივნისი	17,201,858	26,939,322	9,737,464
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ივლისი	24,143,167	29,885,393	5,742,227
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	აგვისტო	29,978,904	31,022,126	1,043,222
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	სექტემბერი	36,979,864	33,717,255	(3,262,609)
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ოქტომბერი	37,461,775	34,797,370	(2,664,405)
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	ნოემბერი	37,461,775	34,797,370	(2,664,405)
	შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო“	დეკემბერი	37,461,775	35,588,686	(1,873,089)

დასკვნა მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რაზეც საუბარია „ანგარიშის დანიშნულების“ პუნქტში, და განკუთვნილია საქართველოს პარლამენტის ინფორმირებისათვის.

აუდიტორების ხელმოწერები:

ქართლოს სახვაძე 28.05.2013 წ.

მამუკა გოგოხია 28.05.2013 წ.

გიორგი ბერუჩაშვილი 28.05.2013

რაინ ყუფუნია 28.05.2013 წ.

ნათია გამყრელიძე 28.05.2013 წ.